



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1062
01/06/2018

ქალაქი ბათუმი

1062-05-4-201806011208



ლევან ბერიძის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსის თანამდებობაზე 12 თვით გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“- საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე, 45-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილების, მირზა ბახტაძის 2018 წლის 18 მაისის №1411-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი 2018 წლის 15 მაისის „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №4“ - საოქმო გადაწყვეტილებისა და ლევან ბერიძის 2018 წლის 25 მაისის №7542/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დაინიშნოს ლევან ბერიძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსის თანამდებობაზე 12 თვით გამოსაცდელი ვადით, 2018 წლის 01 ივნისიდან 2019 წლის 01 ივნისის ჩათვლით.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა